



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**REAP** | Restoring Efficiency to Agriculture Production  
საპარტველეს სასოფლო-სამეურნეო  
წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი



**DCFTA-ის მოთხოვნები  
პირველადი წარმოებისთვის  
გზამკვლევი**





## გზამკვლევის შესახებ


აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის ხუთწლიანი პროექტის (REAP) მიზანია სოფლად შემოსავლების ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა, აგრობიზნესში ინვესტიციების მოზიდვა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა. კერძოდ, გათვალისწინებულია მექანიზაციისა და ფერმერთა მომსახურების ცენტრების, სასაწყობო მეურნეობის, დამახარისხებელი, მცირე და საშუალო ზომის გადამამუშავებელი საწარმოების დახმარება, რის შედეგადაც ამაღლდება სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მომსახურების ხარისხი.

პროექტის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს აგრობიზნესებისათვის თემატური ტრენინგების ჩატარება, კონსულტაციების გაწევა და გზამკვლევის მომზადება ევროკავშირთან გაფორმებული ასოციაციების შესახებ შეთანხმების დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ნაწილით დადგენილ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რათა პროექტის ბენეფიციარებმა მაქსიმალურად შეძლონ იმ საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენება, რომელსაც ეს შეთანხმება იძლევა.

წარმოდგენილი გზამკვლევი განკუთვნილია პირველადი პროდუქციის მწარმოებლებისთვის, რომელთაც სურთ საკუთარი პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტი, ამისთვის კი საკმაოდ მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება მოუწევთ. გზამკვლევი მოიცავს იმ ძირითად ნაბიჯებს, რომლებიც მწარმოებელმა უნდა გაიაროს საკუთარი საქონლის ევროკავშირში შეტანისთვის და, ამავე დროს, ისარგებლოს ნულოვანი საბაჟო დაბეგვრით.

**ეს დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონსორციუმის მიერ USAID/საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (REAP) ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში.**

**ამ გზამკვლევის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დახმარებით ამერიკის შვერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს ამერიკის შვერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შვერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.**



# სარჩევი

ევროკავშირის ბაზრის მოკლე ანალიზი	5
სურსათის პირველადი წარმოება	7
სურსათის მწარმოებლად რეგისტრაცია	8
ბიზნესოპერატორის აღიარება	8
ჰიგიენური მოთხოვნები პირველადი წარმოებისთვის	8
მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნები პირველადი წარმოებისთვის	10
HACCP პირველადი წარმოებისთვის	11
სურსათის უვნებლობის კონტროლი	11
ინსპექტირება	12
მონიტორინგი	14
ზედამხედველობა	14
დოკუმენტური შემოწმება	15
სურსათის ნიმუშის აღება	15
სურსათში პესტიციდების წარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი	15
პესტიციდების წარჩენების სახელმწიფო კონტროლი	16
პესტიციდების წარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი სურსათის სახეობების მიხედვით	16
საბაჟო და სატარიფო რეგულაციები	17
რა შეიცვლება საბაჟო პროცედურებში?	17
რა შემთხვევაში გათავისუფლდება საქართველოში წარმოებული პროდუქცია საბაჟო გადასახადისგან?	18
მაგალითი 1: ვაშლი - „შესვლის ფასის“ მოქმედების წესი	20
მაგალითი 2: ატამი - „შესვლის ფასის“ მოქმედების წესი	21
წარმოშობის კუმულაცია	21
გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმები	22
საქონლის წარმოშობის წესები	23
რა შემთხვევაში ჩაითვლება საქართველოში წარმოებული პირველადი პროდუქტი საქართველოში წარმოშობილად?	23
წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1	23
ინტელექტუალური საკუთრება	25
დანართები	26
დანართი 1: შესაბამისობის შეფასების აქტი პირველადი წარმოების ობიექტებში	26
დანართი 2: შესაბამისობის შეფასების აქტი ჰიგიენის გამარტივებული წესის მიხედვით პირველადი წარმოების ობიექტებში	30
დანართი 3: ვაშლში (კოდი: 0130010) პესტიციდების წარჩენები და დადგენილი მაქსიმალური ზღვრული ნორმები	33
გამოყენებული დოკუმენტები	46

# ევროკავშირის ბაზრის მოკლე ანალიზი

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) არის ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც საქართველოში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების სექტორისათვის ხსნის ევროკავშირის ბაზარს. DCFTA 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. ამით საქართველოში წარმოებულ საქონელს გაეხსნა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მოსახლარს. ევროკავშირის ბაზარი ასევე ნიშნავს:

- სტაბილურ ბაზარს
- ღია თამაშის წესებს
- დისტრიბუციის გამართულ ქსელს
- მზარდ ფასებს სურსათზე
- მზარდ მოთხოვნას ნატურალურ პროდუქტებზე



მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი თავადაც სურსათის დიდი მწარმოებელია, მისი იმპორტის მაჩვენებლებიც საკმაოდ მაღალია. 2013 წელს მხოლოდ ხილის იმპორტმა ევროკავშირში 12.6 მლრდ ევრო შეადგინა (13.1 მლნ ტონა), საიდანაც 11.7 მლრდ ევრო განვითარებად ქვეყნებზე მოდიოდა. რაც შეეხება ახალ ბოსტნეულს, მისმა იმპორტმა იმავე წელს 2.6 მლრდ ევრო შეადგინა (დაახლოებით 2.6 მლნ ტონა).

## იმპორტირებული ხილის სიაში წამყვანი ადგილები უკავიათ შემდეგ სახეობებს:

ბანანი	49 %
ანანასი/ფორთოხალი	8 %
ვაშლი	7 %
ყურძენი	6 %
ლიმონი	4 %

## დიდია ახალი და გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის იმ სახეობების იმპორტის მაჩვენებელი<sup>1</sup>, რომელიც საქართველოში ინარმოება, მაგალითად:

ვაშლი	670 000	ტონა
ატამი	333 184	ტონა
მანდარინი	333 184	ტონა
სუფრის ყურძენი	573 105	ტონა
ლიმონი	441 187	ტონა
ხილის ჩირი	130 000	ტონა
კივი	215 123	ტონა
ხილის წვენები (მათ შორის, ყურძნის წვენი)	2 363 763	ტონა
ხილის ჯემები	66 494	ტონა

## ბოსტნეულის იმპორტის სიაში კი ლიდერობს შემდეგი სახეობები:

პომიდორი	28 %
კარტოფილი	16 %
ხახვი	13 %
ლობიო	10 %
ტკბილი წიწვა	8 %

## მათი აბსოლუტური მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება (2013 წელი):

პომიდორი	441 191	ტონა
კარტოფილი	251 428	ტონა
ხახვი	205 000	ტონა
ლობიო	157 000	ტონა
ტკბილი წიწვა	126 000	ტონა

<sup>1</sup> წყარო: ევროსტატი, <http://madb.europa.eu>




ხილისა და ბოსტნეულის ყველაზე დიდი იმპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებს შორის ჰოლანდიაა, რომელმაც 2013 წელს 2 100 000 ტონა ხილისა და 190 000 ტონა ბოსტნეულის იმპორტი განახორციელა არა-ევროკავშირის ქვეყნებიდან. მას სიაში მოსდევნენ გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ბელგია.

ხილის ძირითადი მიმწოდებლები ევროკავშირის ბაზარზე არიან სამხრეთ ამერიკის ქვეყნები სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკასა და თურქეთთან ერთად, საიდანაც დიდი მანძილის გამო, ტრანსპორტირების ხარჯები და დრო საკმაოდ დიდია. ბოსტნეულის ძირითადი მიმწოდებლები კი არიან: მაროკო, ეგვიპტე, პერუ, კენია, თურქეთი და სხვები.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის ბაზარი ასევე გამოირჩევა სურსათზე დანახარჯების მაღალი მაჩვენებლით. აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის 2013 წლის სტატისტიკის მიხედვით<sup>2</sup>, თუ საქართველოში სურსათზე დანახარჯი ერთ სულ მოსახლეზე 894 \$-ს უდრიდა, რუსეთში ის 2 245 \$-ის, უკრაინაში 1 142 \$-ის, ხოლო ბელარუსში 1 432 \$-ის ტოლი იყო. იგივე მაჩვენებლები გაცილებით მაღალია ევროპის ქვეყნებში: შვედეთი - 3 385 \$, ფინეთი - 3 200 \$, ნორვეგია - 4 973 \$, საფრანგეთი - 3 258 \$ და ა.შ.

DCFTA-ის გავრცელების მიზნით, საქართველოს ამ მიმართულებით საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს და დარგის ინტენსიფიკაცია გაზრდიდა ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას ამ ბაზარზე. აღნიშნულ შეფასებას ამყარებს ისიც, რომ საქართველოდან ბევრი კომპანია უკვე დიდი ხანია წარმატებით ახორციელებს საკუთარი პროდუქციის ექსპორტს.

საქონლით თავისუფალი (უტარიფო და ტექნიკური შეზღუდვებისგან თავისუფალი) ვაჭრობა ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებულ პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას ევროკავშირის ქვეყნებში და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას საქართველოში. მსგავსი პროგნოზის გაცემების საშუალებას იძლევა ევროკავშირისა და საქართველოს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობის დინამიკაც, რომლის მიხედვით საქართველოდან ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება და, ოფიციალური მონაცემებით, 2013 წელს მან 608 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.



მათ შორის, მზარდია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტიც, რომელმაც 2014 წელს 216 405 000 აშშ დოლარი შეადგინა:

დასახელება	რაოდენობა	ათასი აშშ დოლარი
თხილი	14 614 ტონა	143 362
სპირტიანი სასმელები კონცენტრაციით 80 მოც. %-ზე ნაკლები	3 142 623 ლ 100% სპირტი	24 304
ყურძნის ნატურალური ღვინოები	3 151 938 ლიტრი	13 849
მინერალური და მტკნარი წყლები	16 991 268 ლიტრი	11 252
დამზადებული ან დაკონსერვებული ნაყოფები (ძირითადად, მოხალული თხილი)	693 ტონა	5 488
თხილის ფქვილი	333 ტონა	2 696
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	4 938 ტონა	5 654
კავკასიური სოჭის თესლი	53 ტონა	1 655
უალკოჰოლო გამიანი სასმელები	847 353 ლიტრი	537
მცენარეული ექსტრაქტები	150 ტონა	1 070
ჩაი, არაომატიზებული ან არაარომატიზებული	293 ტონა	449
ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები	236 630 ლიტრი	1 314
სხვა დანარჩენი		4 776
<b>სულ</b>		<b>216 405</b>

ევროკავშირის ბაზარი მიმზიდველია თავისი მოცულობითა და მსყიდველუნარიანი მოსახლეობით, მაგრამ, ამავე დროს, მას

<sup>2</sup> Expenditures on food and alcoholic beverages: [www.ers.usda.gov/data-products/food-expenditures.aspx#26654](http://www.ers.usda.gov/data-products/food-expenditures.aspx#26654)

დანესებული აქვს სურსათის უვნებლობის საკმაოდ მაღალი სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტების გათვალისწინება მოუწევთ იმ კომპანიებს, რომელთაც სურთ საქართველოდან ევროკავშირში სურსათის ექსპორტი. ამისთვის, მათ კარგად უნდა შეისწავლონ კონკრეტული პროდუქტის მიმართ არსებული მოთხოვნები და რეგულაციები და ექსპორტის განხორციელებამდე იზრუნონ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაზე. ამ პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტების მიერ აღიარებული ლაბორატორიების არსებობას საქართველოში, რომლებსაც ექნებათ პროდუქტის შემოწმებისა და სერტიფიცირების უფლებამოსილება.

ექსპორტიორებმა, უვნებლობასთან ერთად, ყურადღება უნდა მიაქციონ საქონლის ხარისხს, რომელსაც სავაჭრო ქსელები ანვსებენ. ხარისხის სტანდარტი უშუალოდ სავაჭრო ქსელზე ან დისტრიბუტორზე დამოკიდებული, ამიტომ ექსპორტიორებმა წინასწარ უნდა მიიღონ აღნიშნული ინფორმაცია პარტნიორებისგან ევროპაში. ბოლო წლებში მზარდი მოთხოვნა შეინიშნება პროდუქტებზე, რომლებიც მოყვანილია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, ნაკლები ქიმიური საშუალებების გამოყენებით. საქართველოს, თავისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს შესაძლებლობა ამ კუთხით დაიკავოს საკუთარი ნიშა ევროკავშირის ბაზარზე და მომხმარებელს შესთავაზოს ნატურალური პროდუქტები.

განსხვავებით ფერმისა და სათბურისაგან, სასაკლაო, ხორც-პროდუქტების საწარმო, წვენი მწარმოებელი საწარმო არ არის პირველადი წარმოება. მაგალითად, სასაკლაოზე ხდება ძროხის, ღორის, ფრინველის და ა.შ. დაკვლა, გატყავება, დანაწილება ან დაჭრა, ძვლების გამოცლა ან განმუნდა, გაცივება ან გაყინვა.


პირველადი პროდუქტი არის:




- პირველადი წარმოების პროცესით მიღებული პროდუქტი. მაგალითად, მოკრეფილი ხილი, შეგროვებული კენკრა, მდინარეში დაჭერილი თევზი, მოშენებული ღორი და ძროხა
- პროდუქტი, რომელსაც არ გაუვლია გადამუშავება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის პირველად პროდუქტს, მათ შორის, ისეთი სახის გადამუშავების პროცესი, როგორიცაა გაცხელება, შებოლვა, გახმობა, დაწნივება, გამოშრობა, დამარილება, გაწურვა, ექსტრაქცია, ექსტრუზია ან ამ პროცესების კომბინაცია. მაგალითად, ღორი არ წარმოადგენს პირველადი წარმოების პროდუქტს, ვინაიდან მან გაიარა გადამუშავების პროცესი: ღორის დაკვლა, ხორცის შებოლვა და დამარილება. ასევე, ვაშლის ბალებიდან მოსავლის აღება და რეალიზაცია არის პირველადი წარმოება, ვინაიდან რეალიზაციისას ვაშლის პირველადი სახე არ არის მნიშვნელოვნად შეცვლილი. თუ ბიზნესოპერატორი აწარმოებს ვაშლის ჩირს, მაშინ ეს აღარ ითვლება პირველად წარმოებად, ვინაიდან ჩირის მისაღებად ვაშლის პირველადი სახე მნიშვნელოვნად იცვლება გამოშრობის პროცესის მეშვეობით.

## სურსათის პირველადი წარმოება

სურსათის პირველადი წარმოება არის პროცესი, რომელიც მოიცავს მცენარის მოყვანას, მოსავლის აღებას, ნაყოფის კრეფასა და ველური მცენარეების შეგროვებას, ცხოველის მოშენებასა და გაზრდას მის დაკვლამდე, რძის შეგროვებას, ნადირობასა და თევზჭერას.



მაგალითად, პირველადი წარმოებაა სა-სათბურე და ფერმერული მეურნეობა. ფერმა წარმოადგენს პირველად წარმოებას, ვინაიდან ფერმაში მოაშენებენ და ზრდიან ცხოველებს მათ დაკვლამდე, ხოლო სათბურში მოჰყავთ ხილი და ბოსტნეული, მაგრამ არ გადამუშავებენ მას.



# სურსათის მწარმოებლად რეგისტრაცია

ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა სურსათის პირველად წარმოებას მისი რეალიზაციის მიზნით, მათ შორის, ხილის მოყვანას, ცხოველებს მოშენებას, თევზჭერას, სატბორე მეურნეობას და რძის შეგროვებას, ვალდებულია დარეგისტრირდეს სურსათის მწარმოებლად.

თუ ფიზიკური პირი პირველად წარმოებას ეწევა არაორგანიზებულიად (მაგალითად, საკუთარი ეზოს ხილის მოკრეფა და არასისტემურად ადგილზე რეალიზაცია) ან/და საკუთარი მოხმარების მიზნით, მაშინ მას არ მოეთხოვება სურსათის მწარმოებლად რეგისტრაციის გავლა.

სურსათის მწარმოებლად რეგისტრაციას ახორციელებს საქარ-თველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. შესაბამისად, რეგისტრაციისათვის პირმა უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თავისი მონაცემების ბაზაში შეტანის მიზნით.

თუ პირი უკვე რეგისტრირებულია მენარმე სუბიექტად, მან უნდა მიმართოს საჯარო რეესტრს და რეგისტრაციის მონაცემებში შეიტანოს ცვლილებები სურსათთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ. მაგალითად, თუ პირი რეგისტრირებულია როგორც ინდივიდუალური მენარმე ან შპს, ის უნდა მივიდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მიუთითოს:

- საქმიანობის ტიპი (სურსათის წარმოება, დისტრიბუცია ან/და რეალიზაცია)
- პროდუქციის სახეობა (ხორცპროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, წვენი, წყალი და ა.შ.).

გასათვალისწინებელია, რომ ასეთი რეგისტრაციის გარეშე საწარმოს საქმიანობა აკრძალულია და ისჯება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მნიშვნელოვანია, რომ საქმიანობის ტიპისა და წარმოებული პროდუქციის სახეობების შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში იყოს ზუსტი და რეალური. აღნიშნულ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო (მაკონტროლებელი ორგანო) იყენებს რისკების

შესაფასებლად და, შესაბამისად, რაც უფრო ბევრია საქმიანობის ტიპი და წარმოებული პროდუქციის სახეობა, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, რისკის ალბათობა იზრდება და მაკონტროლებელი ორგანო გადაწყვეტილებებს იღებს შესაბამისი მაღალი რისკების გათვალისწინებით.

## ბიზნესოპერატორის აღიარება

**მენარმე, რომელიც ახორციელებს პირველად წარმოებას, არ საჭიროებს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ ბიზნესოპერატორად აღიარებას.**

აღიარება არის რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის, მაკონტროლებელი ორგანოს მიერ საწარმოში ინსპექტირების შედეგად, კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადასტურება.

საქართველოს კანონმდებლობისა და ევროკავშირის რეგულაციების თანახმად, მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან აღიარებას არ ექვემდებარება:

- ა) ოჯახური წარმოების სუბიექტს<sup>3</sup> ან/და
- ბ) ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს პირველად წარმოებას

## ჰიგიენური მოთხოვნები პირველადი წარმოებისთვის

ზოგად ჰიგიენურ მოთხოვნებს პირველადი წარმოების შემთხვევაში ადგენს:

- ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004 წლის 29 აპრილის რეგულაცია (ევროპული თანამეგობრობა) No 852/2004 სურსათის ჰიგიენასთან დაკავშირებით<sup>4</sup>



3 ოჯახური წარმოების სუბიექტი - ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სურსათის წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით.

4 REGULATION (EC) No 852/2004 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 29 April 2004 on the hygiene of foodstuffs



- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივნისის N173 დადგენილების 1-ლი დანართი - სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესი.

პირველადი წარმოების შემთხვევაში, ბიზნესოპერატორებმა შეძლებისდაგვარად უნდა განახორციელონ საფრთხეების კონტროლის ღონისძიებები, მათ შორის, ყველა შესაძლო წყაროდან დაბინძურების კონტროლის ღონისძიებები.

**ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც ეწევიან მეცხოველეობას, ნადირობას ან აწარმოებენ ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტებს, გარემოებიდან გამომდინარე, უნდა განახორციელონ ადეკვატური ღონისძიებები, კერძოდ:**

- სუფთა მდგომარეობაში შეინახონ ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც უშუალო კავშირშია პირველად წარმოებასა და მასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან. მაგალითად, ყველა მოწყობილობა, ჭურჭელი, ყუთი, სადისტრიბუციო და სხვა გადასაზიდი საშუალებები, რომელიც გამოიყენება პირველადი პროდუქტების შენახვისა და გადაზიდვისათვის, უნდა ინმინდებოდეს, ირეცხებოდეს და, საჭიროების შემთხვევაში, ხდებოდეს მათი დეზინფიცირება
- საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ სასმელი წყლის<sup>5</sup> ან სუფთა წყლის<sup>6</sup> მოხმარება
- თავიდან აიცილონ მავნებლებისაგან პირველადი პროდუქტის დაბინძურება
- ისე შეინახონ და გადაზიდონ პირველადი წარმოების ნარჩენები და სახიფათო ნივთიერებები, რომ თავიდან აიცილონ პირველადი წარმოების პროდუქტების დაბინძურება. მაგალითად, ისეთი სახიფათო ნივთიერებები, როგორცაა სადენინფექციო საშუალებები, უნდა ინახებოდეს სპეციალურ სათავსოში, რათა მოხდეს მათი სრული იზოლირება პირველადი წარმოების სივრცისა და პროდუქტის შენახვის ადგილისგან
- თავიდან აიცილონ ქვეყნის ტერიტორიაზე იმ ინფექციურ დაავადებათა შემოტანა და გავრცელება, რომლებიც სურსათის საშუალებით გადადის ადამიანზე. მათ შორის, ბიზნესოპერატორებმა უნდა განახორციელონ პრევენციული ზომები ადამიანისათვის საშიშ ინფექციურ დაავადებათა

გავრცელების წინააღმდეგ, მაგალითად, ცხოველი მოათავსონ კარანტინში და ასეთ დაავადებებთან დაკავშირებით ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ მაკონტროლებელ ორგანოს

- გაითვალისწინონ ცხოველებიდან აღებული ნიმუშის ანა-ლიზის შედეგი, რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მაგალითად, ბიზნესოპერატორმა, რომელიც ეწევა ცხოველების მოშენებას და მის ფერმაში ნიმუშის აღების შედეგად დადგინდება, რომ ცხოველს აქვს ბრუცელოზი, დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ცხოველის შესაბამისი წესით დაკვლა და მიღებული ხორცის სპეციალური მეთოდით დამუშავება
- გამოიყენონ მხოლოდ ნებადართული საკვები დანამატები და ვეტერინარული დანიშნულების სამედიცინო პრეპარატები.

**ბიზნესოპერატორებმა, რომლებსაც მოჰყავთ მცენარეული წარმოშობის პირველადი პროდუქტები, უნდა განახორციელონ ადეკვატური ღონისძიებები, კერძოდ:**

- სუფთა მდგომარეობაში შეინახონ ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც უშუალო კავშირშია პირველად წარმოებასა და მასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან, მათ შორის, ჭურჭელი, ყუთი, სადისტრიბუციო და სხვა გადასაზიდი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება პირველადი წარმოების პროდუქტების შენახვის, გადაზიდვისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვისათვის. საჭიროების შემთხვევაში, განმუხდის შემდეგ მოახდინონ მათი დეზინფიცირება სათანადო წესით
- აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყონ სასმელი წყლის ან სუფთა წყლის მოხმარება
- რამდენადაც შესაძლებელია, თავიდან აიცილონ მავნებლებისაგან პირველადი წარმოების პროდუქტების დაბინძურება
- ისე შეინახონ და გადაზიდონ ნარჩენები და სახიფათო ნივთიერებები, რომ თავიდან აიცილონ პირველადი წარმოების პროდუქტების დაბინძურება
- გაითვალისწინონ მცენარეებიდან აღებული ნიმუშის ანალიზის შედეგი, რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის
- გამოიყენონ მხოლოდ ნებადართული მცენარეთა დაცვის საშუალებები, აგროქიმიკატები და ბიოციდები.

5 სასმელი წყალი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყალი.

6 სუფთა წყალი – ზღვის, მდინარის ან სხვა არასასმელი წყალი, რომელიც არ შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებმაც შესაძლოა პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს სურსათის უვნებლობაზე.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესოპერატორებმა, სათანადო წესით, გარკვეული პერიოდულობით აწარმოონ რისკების გაკონტროლებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ღონისძიებათა ჩანაწერები. ჩანაწერები შეიძლება იყოს როგორც დოკუმენტური, ისე ელექტრონული სახის. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესოპერატორმა აღნიშნული ჩანაწერები შეინახოს შესაბამისი დროის განმავლობაში.

ბიზნესოპერატორებმა, მოთხოვნის შემთხვევაში, ასეთ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია უნდა მიანოდონ სურსათის ეროვნულ სააგენტოს და პირველადი წარმოების პროდუქტის მიმღებ ბიზნესოპერატორს.

**ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც მისდევნენ მეცხოველეობას ან აწარმოებენ ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტებს, უნდა აწარმოონ შემდეგი სახის ჩანაწერები:**

- ცხოველების საკვების წარმოშობის შესახებ
- ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების შესახებ, მათი გამოყენების თარიღების მითითებით
- დაავადებათა შემთხვევების შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობაზე
- ცხოველებიდან აღებული ნებისმიერი ნიმუშის ანალიზის შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის
- ნებისმიერი ანგარიში ცხოველების ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შემოწმებათა განხორციელების შესახებ.

**ბიზნესოპერატორებმა, რომლებსაც მოჰყავთ მცენარეული წარმოშობის პირველადი პროდუქტები, უნდა აწარმოონ ჩანაწერები:**

- მცენარეთა დაცვის საშუალებების, აგროქიმიკატებისა და ბიოციდების გამოყენების შესახებ, მათი გამოყენების თარიღების მითითებით
- პარაზიტების ან დაავადებების ნებისმიერი წარმოშობის შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მცენარეული წარმოშობის პირველადი პროდუქტების უვნებლობაზე
- მცენარეებიდან აღებული ნებისმიერი ნიმუშის ანალიზის შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ბიზნესოპერატორები პასუხისმგებელი არიან სწორად აწარმოონ, შეინახონ და დაიცვან დოკუმენტები და ჩანაწერები.

## მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნები პირველადი წარმოებისათვის

მიკვლევადობის განსახორციელებლად აუცილებელია ბიზნესოპერატორს ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს. ამისათვის, ბიზნესოპერატორმა უნდა დანერგოს ისეთი სისტემები და პროცედურები, რომლებიც, მოთხოვნის შემთხვევაში, ინფორმაციით უზრუნველყოფს კომპეტენტურ ორგანოებს საჭირო ინფორმაციით.

**მწარმოებლებს, რომლებიც მოაშენებენ ცხოველებს ან აწარმოებენ ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტებს, მოეთხოვებათ იქონიონ ჩანაწერები:**

- ცხოველის საკვების, მისი მახასიათებლებისა და წარმოშობის შესახებ
- ვეტერინარული პრეპარატების შესახებ, რომლებსაც იღებენ ცხოველები
- პრეპარატების მიღების ხანგრძლივობის, დოზებისა და რაოდენობის შესახებ
- იმ ზოლანთროპონომური დაავადებების (დაავადება, რომელიც გადადის ცხოველიდან ადამიანზე) არსებობის შესახებ, რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების უვნებლობაზე
- ცხოველებიდან აღებული ნებისმიერი მასალის ანალიზის შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის
- ცხოველებზე ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე განხორციელებული ნებისმიერი შემოწმების შედეგების შესახებ.

**მწარმოებლებს, რომლებიც მოიყვანენ მცენარეულ პროდუქტებს მათი შემდგომი გადამუშავების მიზნით, მოეთხოვებათ იქონიონ ჩანაწერები:**

- მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენების შესახებ
- მცენარეთა პარაზიტებისა და ნებისმიერი დაავადების წარმოშობის შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს

- მცენარეული წარმოშობის პროდუქტების უვნებლობაზე მცენარეებიდან აღებული ნებისმიერი ნიმუშის ანალიზის შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მიკვლევადობას–თან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, გამო–ვლენილი მონიტორინგის დროს, გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას.

## HACCP პირველადი წარმოებისთვის



საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის დანერგვა არ არის სავალდებულო იმ ბიზნესოპერატორებისათვის, რომლებიც მხოლოდ პირველადი წარმოების პროდუქციას აწარმოებენ.

## სურსათის უვნებლობის კონტროლი

პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობაზე ეკისრება ბიზნეს–ოპერატორს და თავისი საქმიანობის ფარგლებში იგი ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის უვნებლობა წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

ბაზარზე განთავსებული სურსათი უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს. დაუშვებელია მავნე სურსათის ბაზარზე განთავსება, თუ იგი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. თუ სურსათი მავნეა, ამ სურსათის მთელი პარტია მავნედ მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარტიის დეტალური შემოწმებისას დადასტურდება, რომ პარტიის დანარჩენი ნაწილი აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.



სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებს ადგენს:

- ევროკავშირის რეგულაცია 882/2004 სახელმწიფო კონტროლის განხორციელების შესახებ სურსათის და ცხოველის საკვების კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით<sup>7</sup>
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის დადგენილების მე-2 დანართი - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი.

7 ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004 წლის 29 აპრილის რეგულაცია N 882/2004 სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებით, რომელიც ხორციელდება სურსათსა და ცხოველთა საკვების კანონმდებლობასთან და ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის წესებთან შესაბამისობის შემოწმების უზრუნველყოფის მიზნით (REGULATION (EC) No 882/2004 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 29 April 2004 on official controls performed to ensure the verification of compliance with feed and food law, animal health and animal welfare rules)

სურსათის უვნებლობის კონტროლი წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთ სახეს, რომელიც ხორციელდება სურსათის უვნებლობისა და ეტიკეტირების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.

სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმებია:



საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული სურსათის ეროვნული სააგენტო.

## ინსპექტირება

ინსპექტირება სახელმწიფო კონტროლის მექანიზმია, რომლის დროსაც ხორციელდება წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპების ცალკეული ასპექტების გამოკვლევა სანარმოში ვიზიტის საშუალებით.

ინსპექტირება შეიძლება იყოს როგორც **გვეგური**, რომელიც ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე განსაზღვრული

პრიორიტეტების მიხედვით შემუშავებული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შესაბამისად, ისე **არაგვეგური**, რომელიც ხორციელდება წინასწარი გაფრთხილების გარეშე, დასაბუთებული ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

გვეგური ინსპექტირება მაღალი რისკის სანარმოებში ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ხოლო სხვა სახის სანარმოებში - ორ წელიწადში ერთხელ.

რისკის შეფასება ხორციელდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც, ძირითადად, მოიცავს პროდუქციის სახეობასა და თავისებურებებს, სანარმო მოცულობას, მონიტორინგის შედეგებს<sup>8</sup> და ა.შ.

რისკის შეფასების კრიტერიუმები შეიძლება შეიცვალოს საჭიროებიდან გამომდინარე. როგორც წესი, მაღალი რისკის სანარმოებს მიეკუთვნებიან ცხოველური წარმოშობის სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორები, როგორც არის ცხოველთა სასაკლავო და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის (ძეხვი, სოსისი, ლორი, შებოლილი თევზი, ხორცის ნახევარფაბრიკატები, კონსერვები და ა.შ.) მწარმოებელი სანარმოები.

როგორც წესი, ბიზნესოპერატორები, რომლებიც აწარმოებენ მცენარეული წარმოშობის პირველად ან გადამამუშავებულ სურსათს, დაბალი ან საშუალო რისკის სანარმოებს მიეკუთვნებიან.

## ინსპექტირების განხორციელებისას სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზნით, მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს:

- შეამოწმოს სურსათის წარმოების ადგილი, სანარმო, სანარმოს მიმდებარე ტერიტორია, სატრანსპორტო საშუალებები, ტექნიკისა და აღჭურვილობის მდგომარეობა და გამოყენების პირობები; ნედლეული, ინგრედიენტები, ნახევარფაბრიკატები, ტექნოლოგიური საშუალებები და სხვა პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება სურსათის დასამზადებლად და სანარმოებლად; მასალები და საგნები, რომლებიც კონტაქტში შედის სურსათთან, სარეცხი და სადებიინფექციო საშუალებები, რომლებსაც იყენებენ ბიზნესოპერატორები თავიანთი ბიზნესის წარმოებისას; ეტიკეტირება, რომელიც ხორციელდება მზა პროდუქციის ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენით და საბოლოო პროდუქტი

<sup>8</sup> მონიტორინგის შედეგებში იგულისხმება ამა თუ იმ კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქტის საცალო ვაჭრობის დონეზე მაკონტროლებელი ორგანოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის შედეგი

- აიღოს ნიმუშები ლაბორატორიული გამოცდისათვის
- გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები ან სხვა მონაცემები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას სურსათის შესახებ, გადაიღოს მათი ასლები და გააკეთოს ამონაწერები
- შეამოწმოს პერსონალის ჰიგიენის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- შეაფასოს სურსათი ორგანოლექტიკურად
- დარღვევის შემთხვევაში, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

ყველა ბიზნესოპერატორი ვალდებულია, მაკონტროლებელ ორგანოს ხელი შეუწყოს ინსპექტირების განხორციელების პროცესში.

ინსპექტირებისას დგება შესაბამისობის შეფასების აქტი ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ბიზნესოპერატორს, მეორე რჩება მაკონტროლებელ ორგანოში.

შესაბამისობის შეფასების აქტი დადგენილია საქართველოს მთავრობის მიერ ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით (იხ. დანართი 1: შესაბამისობის შეფასების აქტი პირველადი წარმოების ობიექტებში). აღნიშნულ აქტში ჩამოწერილია ყველა ის ჰიგიენური მოთხოვნა, რომელიც უნდა შეამოწმოს მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომელმა ინსპექტირების დროს. მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა შეამოწმოს **მხოლოდ** აქტით გათვალისწინებული ჰიგიენური მოთხოვნები.

იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორი არის მცირე ბიზნესი (წელიწადში 200 ათას ლარამდე ბრუნვით), რომელიც ახორციელებს პროდუქციის საბოლოო მომხმარებლისთვის პირდაპირ მიწოდებას ან მომარაგებას; ასევე, თუ სურსათი მზადდება ტრადიციული მეთოდით<sup>9</sup> ან თუ საწარმო საქმიანობს მხოლოდ მაღალმთიან რეგიონში<sup>10</sup>, მაშინ ასეთი ბიზნესოპერატორების მიმართ გამოიყენება გამარტივებული წესები.

შესაბამისობის შეფასების დადგენის მიზნით ინსპექტირება

გამარტივებული წესით პირველადი წარმოების ობიექტებში ხორციელდება გამარტივებული წესის მოთხოვნების შემოწმების მიხედვით (იხ. დანართი 2: შესაბამისობის შეფასების აქტი ჰიგიენის გამარტივებული წესის მიხედვით პირველადი წარმოების ობიექტებში). მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა შეამოწმოს **მხოლოდ აქტით გათვალისწინებული ჰიგიენის გამარტივებული მოთხოვნები**.

თუ ბიზნესოპერატორი ეთანხმება შემოწმების შედეგებს, მაშინ იგი შესაბამისობის შეფასების აქტში თავის თანხმობას მიუთითებს აქტის სპეციალურ გრაფაში და ხელს აწერს.

იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორი არ ეთანხმება შესაბამისობის შეფასების აქტში მოცემულ ინფორმაციას, იგი ამის შესახებ მიუთითებს აქტის სპეციალურ გრაფაში და ხელმოწერით ადასტურებს. ამასთან, ბიზნესოპერატორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს კრიტიკულ შეუსაბამობას, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ბიზნესოპერატორი ვალდებულია შეაჩეროს კონკრეტული საწარმოო პროცესი. არაკრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში, რეკომენდაციების შესრულება ხდება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. კრიტიკული შეუსაბამობის არსებობისას, თუ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ბიზნესოპერატორის სასარგებლოდ, მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია აუნაზღაუროს ბიზნესოპერატორს კონკრეტული საწარმოო პროცესის შეჩერების შედეგად მიყენებული ზიანი.

ინსპექტირების შედეგად მაკონტროლებელმა ორგანომ შეიძლება დაადგინოს კრიტიკული ან არაკრიტიკული შეუსაბამობა.

**არაკრიტიკული შეუსაბამობა** არის შეუსაბამობა, რომელიც არ უქმნის პირდაპირ საფრთხეს ადამიანისა და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და რომლის აღმოფხვრა შესაძლებელია საქმიანობის შეჩერების გარეშე.

**კრიტიკული შეუსაბამობა** არის შეუსაბამობა, რომელიც მაღალ რისკს

9 ტრადიციული მეთოდი არის სურსათის წარმოება, გადაუშუავება ან/და დისტრიბუცია, აგრეთვე პირველადი წარმოება ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობისთვის გადაცემული მეთოდების გამოყენებით, ტრადიციული ადგილობრივი ფერმერული მუშაობებისა და სხვა ტრადიციული სამურნეო საქმიანობების ჩათვლით.

10 მაღალმთიან რეგიონად ითვლება დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით, მაგრამ სხვადასხვა პარამეტრების (მთის ფერდობების და ზეგნების დახრილობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები, სასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული ტედალობა, გამწვავებული მიგრაციული პროცესები, დაკლილი ტერიტორიების ეკონომიკური თვალსაზრისით დაკარგვის საფრთხე) გათვალისწინებით მისი ქვედა ზღვარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე განლაგებულ რაიონებში და აჭარა-გურის მთიანეთში მცირდება 1000 მეტრამდე (გამონაკლის შემთხვევაში – 800 მეტრამდეც კი), ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში რჩება 1500 მეტრი.

უქმნის ადამიანისა და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რაც არის საქმიანობის დროებითი შეჩერების საფუძველი ასეთი სახის შეუსაბამობის აღმოფხვრამდე.

არაკრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ბიზნეს-ოპერატორს, შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით, ეძლევა რეკომენდაციები და გონივრული ვადა მათ შესასრულებლად. ვადა დგინდება ორივე მხარის მონაწილეობით. ვადის გასვლის შემდგომ, მაკონტროლებელი ორგანო ამოწმებს მხოლოდ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას და არ ახორციელებს საწარმოს ხელახალ ინსპექტირებას. მაგალითად, თუ საწარმოო ოთახში ფანჯრის მინა არის გატეხილი, ეს წარმოადგენს არაკრიტიკულ შეუსაბამობას, რადგან გატეხილი მინიდან საწარმოო ოთახში შეიძლება მოხვდეს მწერები, მღრღნელები და სხვ. აღნიშნული გარემოება შეიძლება გახდეს სურსათის დაბინძურების წყარო. ჩამტვრეული მინის გამოცვლის ვადა დგინდება ბიზნესოპერატორისა და მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

თუ რეკომენდაციები არ იქნება შესრულებული, საწარმო ჯარიმდება და ბიზნესოპერატორს ეძლევა ახალი გონივრული ვადა შეუსაბამობის გამოსასწორებლად. განმეორებით შემთხვევაში საწარმო კვლავ ჯარიმდება და ბიზნესოპერატორს შეუჩერდება იმ სურსათის წარმოებისა და რეალიზაციის უფლება, რომელსაც ეხებოდა რეკომენდაციები.

კრიტიკული შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში ბიზნესოპერატორი ჯარიმდება და მაკონტროლებელი ორგანოს მითითებით აჩერებს საწარმოო პროცესს მანამ, სანამ არ გამოასწორებს კრიტიკულ შეუსაბამობას. მაგალითად, კრიტიკული შეუსაბამობა შეიძლება დადგინდეს საწარმოში, სადაც სურსათის დასამზადებლად გამოიყენება სასმელი წყალი, რომელიც დაბინძურებულია ფეკალიებით. შესაბამისად, საბოლოო სურსათი არის დაბინძურებული და მავნე ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ასეთი შეუსაბამობის არსებობა არ არის გამონეწეული ერთჯერადი ქმედებით (მაგალითად, ადამიანის კონტაქტით სურსათთან) და მისი მყისიერი გამოსწორება შეუძლებელია საწარმოო პროცესის შეჩერების გარეშე. ამიტომ უნდა განხორციელდეს შესაბამისი ქმედება შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად (მაგალითად, სასმელი წყლის მიღების გამოცვლა).

გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემდეგ, ბიზნესოპერატორი უფლებამოსილია, მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოს კონკრეტული საწარმოო პროცესის გაგრძელების თაობაზე. მაკონტროლებელი ორგანო ამოწმებს ბიზნესოპერატორის მიერ

რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას. თუ დადგინდა, რომ ადგილი აქვს მხოლოდ არაკრიტიკულ შეუსაბამობას ან საქმიანობა სრულად შეესაბამება განსაზღვრულ მოთხოვნებს, ბიზნესოპერატორს უფლება ეძლევა გააგრძელოს საწარმოო პროცესი.

ინსპექტირების განხორციელების შედეგად, მაკონტროლებელი ორგანო გასცემს შესაბამისობის შეფასების უვადო სერტიფიკატს, თუ საწარმოს საქმიანობა სრულად შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## მონიტორინგი

ბაზრის მონიტორინგი არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება წინასწარდაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები განსაზღვრულ მოთხოვნებთან სურსათის შესაბამისობის შესაფასებლად.

მონიტორინგის დროს მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომელი იღებს პროდუქტის ნიმუშს საცალო ვაჭრობის ობიექტზე. ნიმუში იგზავნება აკრედიტებულ ლაბორატორიაში ანალიზისთვის. მონიტორინგის დროს მოწმდება სურსათის უვნებლობის მაჩვენებლებისა და ეტიკეტის შესაბამისობა განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

მონიტორინგის გეგმა დგება სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებულია წინა წლებში მოსახლეობაში მოშხამვების, ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადების გაჩენის შემთხვევები, საკვების მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური, ასევე, გარემოს დაბინძურების, მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები და მაკონტროლებელი ორგანოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შედარებითი ანალიზი.

## გედამხედველობა



გედამხედველობა არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება დაკვირვება სურსათის განადგურებაზე, ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზრიდან და მომხმარებლისგან გამოთხოვაზე, მითითებების შესრულებაზე.

## დოკუმენტური შემოწმება

დოკუმენტური შემოწმება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად, ან სახელმწიფო კონტროლის სხვა მექანიზმებთან ერთად, ხორციელდება დოკუმენტების შემოწმება.

## სურსათის ნიმუშის აღება

ნიმუშის აღება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედა-მხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად და, რომლის დროსაც ხორციელდება ორგანოლეპტიკური<sup>11</sup>, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების ან/და სხვა მაჩვენებლების გამოკვლევა, რათა განისაზღვროს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკი.

ნიმუშს იღებენ ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი იგზავნება ლაბორატორიაში, ხოლო მეორე, რეფერენტული ნიმუშის სახით, ინახება მაკონტროლებელ ორგანოში. ბიზნესოპერატორის მოთხოვნის შემთხვევაში, ნიმუში, ნაცვლად ორისა, შესაძლებელია აღებულ იქნეს სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ბიზნესოპერატორთან.

ისეთი სურსათის ნიმუში, რომელიც განკუთვნილია ბაქტერიოლოგიური ან მიკრობიოლოგიური გამოკვლევისათვის, ადგილზე უნდა იქნეს სტერილურად და მოთავსდეს სტერილურ ტარაში ან გაიგზავნოს ლაბორატორიაში თავისი შეფუთვით. ლაბორატორიისთვის გადაცემამდე აუცილებელია ნიმუშის შენახვის სათანადო პირობებისა და ვადების დაცვა.

ნიმუში უნდა შეიფუტოს სუფთა, სითხეგაუმტარ, ჰერმეტიკულად დახურულ ჭურჭელში/მასალაში, ნიმუშის თვისებების შენარჩუნების გათვალისწინებით, და დაილუქოს. ლუქის ან/და შეფუთვის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, ნიმუში მიიჩნევა უვარგისად.

ნიმუშის დალუქვისას, ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე, დასაშვებია ნიმუშის შეფუთვაზე დატანილ იქნეს მისი ხელმოწერა ან კომპანიის ბეჭედი.

მნიშვნელოვანია, რომ მესამე ნიმუში, რომლის აღებაც და დატოვებაც შეიძლება მოითხოვოს ბიზნესოპერატორმა, მას შეუძლია თავად გამოიკვილოს შესაბამის ლაბორატორიაში, თუ ეჭვი ეპარება მაკონტროლებელი ორგანოს მიერ გაგზავნილი ნიმუშის გამოკვლევის შედეგების სისწორეში.

ნიმუშის აღების წესი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი ლაბორატორიული გამოცდის შედეგი შეიძლება გახდეს საწარმოო პროცესის შეჩერებისა და ბიზნესოპერატორის დაჯარიმების საფუძველი. ეს მოხდება, თუ სურსათი მიჩნეული იქნება მავნებლად და იგი პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ხოლო ამ საფრთხის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შეუძლებელია კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე.

თუ ლაბორატორიული გამოცდის საფუძველზე სურსათი მიიჩნევა მავნებლად, მას გაანადგურებს თავად ბიზნესოპერატორი, ორმხრივი თანამშრომლობის შედეგად დადგენილი პირობების დაცვით.

**სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ან რისკის ანალიზის შედეგად მოპოვებული სამენარჩეო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.** უფლებამოსილმა მოხელემ, ასევე, არ უნდა გაავრცელოს საეჭვო, გადაუმოწმებელი ან/და მცდარი ინფორმაცია.

## სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი

სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვებ მაქსიმალურ ზღვარს ადგენს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია 396/2005. მისი განსაზღვრებით, საჭიროზე მეტი რაოდენობით გამოყენებული პესტიციდები საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, ვინაიდან ზედმეტად გამოყენებული პესტიციდი სურსათში აისახება როგორც ნარჩენი, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს სურსათის მომხმარებლებისათვის.

11 ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს განეკუთვნება პროდუქტის გემო, ფერი, სუნი, კონსისტენცია და სხვ.

რეგულაციით დადგენილია მცენარეთა დაცვის საშუალებებით გამოწვეული ნარჩენების მაქსიმალური ზღვრები, რომელიც ვრცელდება მთელ ევროკავშირის ბაზარზე და საერთოა მისი ყველა წევრისათვის.

პესტიციდების ნარჩენები გულისხმობს ნარჩენს, მათ შორის, აქტიურ ნივთიერებას, მეტაბოლიტებს, აქტიური ნივთიერების რეაქტიულ ან/და დანაწევრებულ პროდუქტს, ხოლო მისი მაქსიმალური დასაშვები ზღვარი წარმოადგენს პესტიციდის ნარჩენის დადგენილ კონცენტრირებულ/ერთობლივ დონეს საკვებში ან საკვებზე.

თუ რეგულაციის დანართი I-ით გათვალისწინებული სურსათი, რომლისთვისაც დადგენილია მაქსიმალური დასაშვები ზღვრები, არ აკმაყოფილებს დანართი II-ით და დანართი III-ით განსაზღვრულ ნარჩენების მაქსიმალურ ზღვარს, მაშინ ის არ შეიძლება განთავსდეს ევროპის ბაზარზე. ასევე დაუშვებელია მისი გადამუშავება ან განზავების მიზნით შერევა იმავე ან სხვა სურსათთან. თუ დანართი II-ით და დანართი III-ით არ არის განსაზღვრული კონკრეტული მაქსიმალური ზღვარი, ან დანართი IV-ით არის დადგენილი აქტიური ნივთიერება, მაშინ იგი შეადგენს 0,01 მგ.-ს 1 კგ. სურსათში.

პირველადი წარმოების სექტორში, მოსავლის აღების შემდგომ, დასაშვებია სურსათის ფუმიგანტებით დამუშავების შედეგად აქტიური ნივთიერების ზღვრული დონის გადაჭარბება, თუ ასეთი სურსათი არ იქნება მოხმარებული მოკლე დროში. ამას გარდა, უნდა არსებობდეს კონტროლის სისტემა, რომ ასეთი სურსათი არ მიეწოდოს საბოლოო მომხმარებელს მანამ, სანამ ნარჩენების დონე არ მოექცევა დადგენილ ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია წვერი ქვეყნებისა და ევროკომისიის ინფორმირება.

თუ გადამუშავებული და განზავებული სურსათისთვის არ არის დადგენილი ზღვარი, მაშინ ეს იგივეა, რაც ნედლეულისათვის, იმის გათვალისწინებით, რა ცვლილებებსაც განიცდის პესტიციდების ნარჩენები გადამუშავებისას და განზავებისას. მაგალითად, თუ ვაშლში აქტიური ნივთიერების, Mancozeb-ის (Dithiocarbamate-ის ჯგუფის Maneb-ისა და Zineb-ის კომბინაციის არასინთეტიკური ფუნგიციდი, რომელიც გამოიყენება მრავალი სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ) მაქსიმალური დასაშვები ზღვარია 5 მგ., ხოლო ვაშლში მისი შემადგენლობა აჭარბებს ამ დასაშვებ ზღვარს (მაგ. შეადგენს 6 მგ.-ს), მისი გამოყენება დასაშვებია ჯემის დასამზადებლად, თუ ჯემის მისაღებად საჭირო დამუშავების შედეგად საბოლოო სურსათში აქტიური ნივთიერება შემცირდება 5 მგ.-მდე (მაგალითად, თერმული დამუშავების შედეგად).

## პესტიციდების ნარჩენების სახელმწიფო კონტროლი

სახელმწიფო კონტროლის განხორციელება პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვრის მიმართ არის სავალდებულო ევროკავშირის წვერი ყველა ქვეყნისათვის. ასეთი კონტროლი უნდა მოიცავდეს ნიმუშების აღებას და კვლევას. კვლევის დროს უნდა დადგინდეს პესტიციდის სახეობა და მისი შესაბამისი ნარჩენის დონე სურსათში. ასეთი კონტროლი, ასევე, შეიძლება ხორციელდებოდეს მომხმარებლებისთვის სურსათის მიწოდების ადგილებში.

ევროკავშირის ყველა ქვეყანამ, სახელმწიფო კონტროლის ადრე განხორციელებული პროგრამების შედეგების გათვალისწინებით, უნდა აიღოს საკმარისი რაოდენობის ნიმუშები, რათა შედეგები განზოგადდეს მთელი ბაზრის მიმართ. ლაბორატორიები, რომლებიც ახორციელებენ პესტიციდების ნარჩენების ანალიზს, უნდა მონაწილეობდნენ ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ შესაბამისობის დადგენის ტესტირებაში.

პესტიციდების ნარჩენებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა განახორციელონ ყოველწლიურად განახლებადი მრავალწლიანი კონტროლის პროგრამა, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს რისკის შეფასების კრიტერიუმებზე.

## პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი სურსათის სახეობების მიხედვით

სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი სურსათის ცალკეული სახეობისათვის, რომელიც განსაზღვრულია რეგულაციის დანართი I-ით, დადგენილია ცალკეული აქტიური ნივთიერების მიხედვით. შესაბამისად, დანართით გათვალისწინებული ინფორმაცია არის მატრიქსული და კომპლექსური, რომელიც ანბანის მიხედვით დალაგებული აქტიური ნივთიერებებისთვის ადგენს კონკრეტული სურსათის სახეობის ან მისი ჯგუფის დასაშვებ ზღვრულ ნორმას.

იმის დასადგენად, თუ პესტიციდების ნარჩენების რა ზღვრული ნორმებია დაშვებული, მაგალითად, ვაშლისათვის, გამოყენებული უნდა იყოს რეგულაციის დანართები II და III. ყველა განსაზღვრული აქტიური ნივთიერებისთვის ნარჩენების ზღვრული დონე დადგენილია



1 მგ.-ის ოდენობით 1 კგ-ზე. ვაშლისათვის დადგენილი პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური ზღვრული ნორმა, 457 აქტიური ნივთიერების მიმართ, იხილეთ ამ დოკუმენტის დანართ 3-ში.

იმის გათვალისწინებით, რომ თავად რეგულაცია არის საკმაოდ კომპლექსური და მასში შეტანილია მრავალი ცვლილება, რეკომენდებულია, რომ ბიზნესოპერატორებმა გამოიყენონ ევროკომისიის პესტიციდების ბაზა, რომელიც მოიცავს რეგულარულად განახლებად ინფორმაციას სურსათის სახეობების, პესტიციდების ნარჩენებისა და მათი მაქსიმალური ზღვრული დონეების შესახებ. ამასთან, ბაზა საშუალებას იძლევა, საჭირო ინფორმაციის ადვილად მიკვლევადობის მიზნით, მონაცემები გაიფილტროს როგორც სურსათის სახეობების, ასევე პესტიციდების აქტიური ნივთიერებების მიხედვით.

ევროკავშირის პესტიციდების ბაზა განთავსებულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [http://ec.europa.eu/sanco\\_pesticides](http://ec.europa.eu/sanco_pesticides)

## საბაჟო და სატარიფო რეგულაციები



### რა შეიცვლება საბაჟო პროცედურებში?

DCFTA ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო სისტემაში ევროკავშირში მოქმედი სისტემის მსგავსი საბაჟო პროცედურების დანერგვას. მიზანი საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნაა, რომელიც საქართველოს მენარჩევებს მისცემს საშუალებას მინიმუმამდე შეამცირონ დანახარჯები საქონლის ექსპორტისას.

მთლიანობაში, პროცესი ოთხნობიანი და მას საქართველოს მთავრობა ეტაპობრივად განახორციელებს, კერძოდ:

- 2016 წლიდან ძალაში შევა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპულ კოდექსთან, ხოლო 2016-2017 წლებში მიიღება მეორადი კანონმდებლობა
- ტრანზიტის საბაჟო პროცედურისას, საქართველოს საბაჟოს მიერ გაცემული სატრანზიტო დოკუმენტაცია და გარანტია იმოქმედებს როგორც ევროკავშირში, ისე შვეიცარიაში, ნორვეგიასა და თურქეთში. გადაზიდვები ვალდებულნი აღარ იქნებიან, განმეორებით მოიპოვონ გარანტია ან ტრანზიტის ქვეყნის საბაჟოსთვის გააფორმონ დამატებითი დოკუმენტები საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან დანიშნულების ადგილამდე გატანის შესახებ
- იმ შემთხვევაში, თუ საზღვარზე შეიქმნება სადავო სიტუაცია, ევროკავშირის საბაჟო სტრუქტურები გაატარებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა მოხდეს საქონლის დროული გაშვება, ხოლო გადასახდევლების გადახდა გადავადდება და დაექვემდებარება კანონით გათვალისწინებულ გადახდის უზრუნველყოფელ ღონისძიებებს. საჭიროების შემთხვევაში, საქონლის გაშვებისათვის ბისნესოპერატორმა უნდა წარადგინოს გარანტია, როგორცაა თავდებობა ან დეპოზიტი
- აღარ იქნება სავალდებულო საბაჟო ბროკერების გამოყენება, გადაზიდვისწინა შემოწმების ან დანიშნულების ადგილზე შემოწმების ჩატარება
- მოსაკრებლებისა და გადასახდევლების დაკისრება მოხდება მხოლოდ იმპორტიორის მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ ის მოითხოვს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო პირობების, საათებისა და ადგილებისაგან განსხვავებული პირობებით მომსახურების განწევას. ამ შემთხვევაში, მოსაკრებლებისა და გადასახდევლების
  - ოდენობა არ გადააჭარბებს მინორდებული მომსახურების ხარჯებს
  - გამოთვლა არ განხორციელდება ადვალორულ პრინციპზე დაყრდნობით, ანუ არ იქნება დაკავშირებული საქონლის საინვოისო ღირებულებასთან
  - ახალი სახით დაწესება არ მოხდება მანამ, სანამ აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ არ გამოქვეყნდება.

საბაჟო ვალდებულებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის ვადა იქნება 3 წელი, ნაცვლად 6 წლისა.

ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, 2016 წლისთვის დაინერგება **“უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის”** ინსტიტუტი. აღნიშნული სტატუსი მიენიჭება საქართველოს ექსპორტიორებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ განსაზღვრულ პირობებს. მისი საშუალებით, ისინი ნაკლები კონტროლის გარეშე,

უფრო სწრაფად და იაფად მოახერხებენ ევროკავშირში ექსპორტისას საბაჟო პროცედურების განხორციელებას. კრიტერიუმები, ამჟამად შემუშავების პროცესშია და საბოლოო სახით, სავარაუდოდ, 2016 წელს გახდება ცნობილი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ისინი საკმაოდ მკაცრი იქნება. აღნიშნული სტატუსის მიღებისთვის, იარსებებს შემდეგი ზოგადი პირობები:

- ბიზნესოპერატორმა უნდა აწარმოოს კომერციული და სატრანსპორტო დოკუმენტაციის სრული აღრიცხვა და ბოლო 3 წლის განმავლობაში მას არ უნდა ერიცხებოდეს საბაჟო/საგადასახადო დარღვევა
- ბიზნესოპერატორმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაადასტუროს გადახდისუნარიანობა და არ უნდა იყოს გაკოტრების რეჟიმში
- ბოლო 3 წლის განმავლობაში მის ანგარიშზე არ უნდა ირიცხებოდეს საგადასახადო ან საბაჟო დავალიანება
- ექსპორტიორს უნდა გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად, რასაც დაადასტურებს კომპანიის ფინანსური დოკუმენტაციით (საბანკო ამონაწერი, აუდიტორული შემოწმების დასკვნით და სხვ.)
- ბიზნესოპერატორი და მისი ინფრასტრუქტურა უნდა აკმაყოფილებდეს საბაჟოსთან დაკავშირებულ უსაფრთხოებისა და დაცვის სტანდარტებს. მაგალითად, საწყობი, რომელიც არ კონტროლდება საბაჟო ორგანოების მიერ, უნდა იყოს საიმედოდ დაცული. აღნიშნული წინაპირობა ყოველი სექტორისთვის განსხვავებულია თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ამიტომ ბიზნესოპერატორი, სტატუსის მიღების თაობაზე განაცხადის გაკეთებამდე, შემოსავლების სამსახურისგან მიიღებს ინფორმაციას მის სფეროში არსებული უსაფრთხოების სტანდარტების თაობაზე.

უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის სერტიფიკატი ბიზნეს-სუბიექტზე გაიცემა მემომოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით მისი კომპანიის სრული აუდიტის შემდეგ. მისი მიღების შემთხვევაში, ექსპორტიორი გაცილებით სწრაფად და მარტივად გაივლის საბაჟო პროცედურებს, ნაკლები ფიზიკური და დოკუმენტური კონტროლის ხარჯზე, ხოლო იმპორტის დროს ტვირთის ფიზიკური დათვალიერების შესახებ წინასწარ მიიღებს შეტყობინებას.

თუ საზღვარზე დადგება ტვირთის ფიზიკური შემოწმების აუცილებლობა, უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორი ჩადგება უპირატეს მდგომარეობაში. მას, ასევე, მიეცემა შემოწმების ადგილის არჩევის შესაძლებლობა.

## რა შემთხვევაში გათავისუფლდება საქართველოში წარმოებული პროდუქცია საბაჟო გადასახადისგან?

DCFTA-ის ყველაზე მთავარი შედეგი არის ის, რომ საქართველოში წარმოებული საქონელი ევროკავშირში შესვლის დროს თავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან. თუმცა არსებობს რამდენიმე ასპექტი, რომლებსაც ექსპორტიორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ.

ევროკავშირში იმპორტისას საბაჟო გადასახადი საქართველოში წარმოებული საქონელზე გაუქმდება. გამოწვევის წარმოადგენს მხოლოდ **ნიორი** (ახალი ან გაცივებული), რომელზეც საბაჟო გადასახადი გაუქმდება წლიური კვოტის - 220 ტონის - ფარგლებში. თუ საქართველოდან ქართული ნივრის ექსპორტი ევროკავშირში აღნიშნულ წლიურ კვოტას გადააჭარბებს, იმპორტისას გამოიყენება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი საბაჟო გადასახადის განაკვეთი.



ამასთან, საქართველოს ექსპორტიორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პროდუქციის ნაწილზე ევროკავშირის მიერ დაწესებულია ე.წ. „შესვლის ფასი“, ანუ ეს პროდუქტები ექვემდებარება საბაჟო გადასახადის გადახდას გარკვეულ პირობებში. აღნიშნული რეგულაცია, საქართველოს შემთხვევაში, ეხება მხოლოდ 28 დასახელების საქონლის ჯგუფს, რომლებიც მოცემულია შემდეგ ცხრილში:

1	კომიდორი (ახალი ან გაცნივებული)	07020000
2	კიტრი (ახალი ან გაცნივებული)	07070005
3	არტიშოკი (ახალი ან გაცნივებული)	07099100
4	ყაბაყი (ახალი ან გაცნივებული)	07099310
5	ფორთოხალი ტკბილი (ახალი)	08051020
6	კლემენტინები	8052010
7	მონრეალი და სატსუმა	08052030
8	მანდარინები და ვილკინგები	08052050
9	ტანჟერინები	8052070
10	ტანჟერინები, ORTANIKUES და MALAQUINAS ციტრუსის ჰიბრიდები	08052090
11	ლიმონი (Citrus limon, Citrus limonum)	08055010
12	სუფრის ჯიშების ყურძენი (ახალი)	08061010
13	ვაშლი (ახალი, გარდა 16 სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე)	08081080
14	მსხალი (ახალი, გარდა პერი (მსხლის სიღრმი) ნაყარი სახით 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე)	08083090
15	ბარბარი (ახალი)	08091000
16	მჟავა ალუბალი (ახალი)	08092100
17	ბალი (ალუბლის გარდა, ახალი)	08092900
18	ნექტარინები (ახალი)	08093010
19	ატამი (ნექტარინების გარდა, ახალი)	08093090
20	ქლიავი (ახალი)	08094005
21	ყურძნის ნვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით არაუმეტეს 30-ისა 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 18€-ზე მეტი შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სკირტის შემცველობით)	20096110
22	ყურძნის ნვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით 67-ზე მეტი 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 22€-ზე მეტი შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სკირტის შემცველობით)	20096919
23	ყურძნის ნვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით 30-ზე მეტი 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 18€-ზე მეტი შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სკირტის შემცველობით)	20096951
24	ყურძნის ნვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით 30-ზე ნაკლები, მაგრამ არანაკლებ 67-სა 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 18€-ზე მეტი შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა კონსენტირებულია და სკირტის შემცველობით)	20096959
25	ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, კონსენტირებული, 22-ი თავის მე-7 დამატებითი შენიშვნის მსაბამისად, სიმკვრივით 1,33 გ/სმ <sup>3</sup> ან ნაკლები 200°C ტემპერატურაზე და სკირტის ფაქტობრივი კონსენტირაციით არა უმეტეს 1მოს.%-ისა (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სკირტის დამატებით)	22043092

